საჯარო ინფორმაციის შესახებ 2015 წლის მე- II კვარტალის ანგარიში

2015 წლის 01 აპრილიდან 30 ივნისის ჩათვლით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოვიდა 6 (ხუთი) განცხადება.

- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა დაწესებულებაში არ შემოსულა.

-სამინისტროში საჯარო მოსამსახურეების მიერ კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სამინისტროში საჯარო ინფორმაციის გაცემას უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 28 ოქტომბრის N-12/126 ბრძანებით დანიშნული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი - ანა მელაშვილი. ხოლო საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებას უზრუნველყოფს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი - რამაზ მესხიძე.

-საჯარო ინფორმაციის გაცემისას სამინისტრო ეყრდნობა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 8 მაისის N-4 დადგენილებით დამტკიცებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულებასა და სხვა მოქმედ კანონმდებლობას.